პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
სამშაბათი
8 სექტემბერი
№ 207 (18149)
ფასი 2 კაპ.

■ ამეჯი— ხარისხის ნიშნით
■ გვირაბგამყვან გ. ბაქრაძის წარმატება
■ აჩქარებენ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს

საქმეთ გამოჩრინა

ხულოს რაიონში თამბაქოს შეტეხვა და ანემსვა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. საზოგადოებრივი მეურნეობების მეთამბაქოეები უხვ მოსავალს იღებენ. ამ მხრივ სამაგალითოდ ირჯებიან საციხურის კოლმეურნეობის მეთამბაქოეები. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომკავშირელი ლიზა ვაშაყმაძე, რომელიც თამბაქოს შეტეხვისა და ანემსვის ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებს.

მეთამბაქოეებისათვის გეგმა კანონიც არის და იმისკენ მოწოდებაც, რომ ბევრ-ზეც გადააჭარბონ მას. ამის მაგალითს ვხვდებით საციხურის კოლმეურნეობაშიც.

სურათზე: ხულოს რაიონის საციხურის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე ლიზა ვაშაყმაძე.

შ. ართმელაძის ფოტო.

მნიშვნელოვანი ეტაპი პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში

პროფკავშირული ორგანოების ცხოვრებაში ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია — მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები. ეს კამპანია, რომელსაც სამართლიანად მთელი პროფკავშირების საბრძოლო დათვალიერებას უწოდებენ, წინ უძღვის ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა დიდ თავყრილობას, რომელიც მომავალი წლის 16 მარტს გაიხსნება.

მანამდე კი ანგარიშგება-არჩევნები ყველა პროფკავშირულ ორგანოში მოეწყობა. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით პროფჯგუფებში, საამქრო და პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში გაიმართება, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ კომიტეტებში — ოქტომბერ-დეკემბერში, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებისა და საკავშირო დარგობრივი პროფკავშირების ყრილობები მიმდინარე წლის დეკემბერსა და 1982 წლის იანვარ-თებერვალში. როგორც ჩვენი რესპუბლიკის პროფსაბჭოს ამასწინანდელმა პლენუმმა გადაწყვიტა, საქართველოს პროფესიული კავშირების XVII ყრილობა 1982 წლის 28-29 იანვარს გაიმართება. ამჟამად უკვე დასასრულს უახლოვდება პროფჯგუფებისა და საამქრო ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნები, რომელიც პირველი აგვისტოდან დაიწყო.

ყოველი ყრილობა, ყოველი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი პროფკავშირების საინტერესო, ღრმაშინაარსიან და მრავალფეროვან ცხოვრებაში. მაგრამ ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნები მაინც სულ სხვაა, განსაკუთრებულია. იგი ხომ პირველია ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის შემდეგ, ყრილობისა, რომელმაც უდიდესი და წარმტაცი პერსპექტივები გადაუშალა მთელ ჩვენს ქვეყანას, პარტიასა და ხალხს, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათ შორის საბჭოთა პროფკავშირებსაც.

ამიტომ, ბუნებრივია, ყველგან პროფკავშირული კრებების მონაწილეთა და კონფერენციების დელეგატთა უურადღების ცენტრში უნდა იყოს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური გეგმების განსახორციელებლად თითოეული პროფკავშირული კოლექტივის აქტიური მონაწილეობის საკითხები.

საქართველოს პროფკავშირებს, როგორც ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, ღირსეული წვლილი მიუძღვით იმ ბოლოდროინდელ წარმატებებში, რაც საქართველომ თავისი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ეკონომიკური და სულიერი განვითარების რთული ამოცანების გადაწყვეტაში მოიპოვა. მუდმივად რომ აუმჯობესებენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ისინი სულ უფრო აქტიურად და მიზანდასახულად მონაწილეობენ წარმოების მართვაში, დაგეგმვის, შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. მათი ორგანიზატორული საქმიანობის ძირითადი შინაარსი გახდა სოციალისტური შეჯიბრებისა და მისი უმაღლესი ფორმის — კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მუდმივი განვითარებისათვის ზრუნვა.

ამიტომ ყოველ კრებასა და კონფერენციაზე ყოველმხრივ უნდა განვაზოგადოთ თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება, მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რასაც ისინი იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ადამიანთა მატერიალური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

მაგრამ, ამასთანავე, თითოეული კრების მონაწილის, თითოეული პროფკავშირული დელეგატის ვალია თვალი არ დახუჭონ იმ ხერხიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ცოტა როდია პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში.

ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობისას ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარების შექმნა საუკეთესო საშუალებაა გამოვამუშაოთ აგრეთვე ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორიცაა ფორმალიზმი და მოჩვენებითობა, ბიუროკრატიზმი და ქაღალდმთხზველობა. ყველგან ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ არ მოხდეს კრიტიკის ჩახშობის რაიმე შემთხვევა. კრებები და კონფერენციები ზოგიერთ ხელმძღვანელთა სუბიექტური შეხედულებებს დაკანონების საშუალება კი არ არის, როგორც სამწუხაროდ, ხანდახან ხდება ხოლმე, არამედ ფართო ახპარეზი იმისა, რომ ხალხის გულწრფელმა, ჯანსაღმა აზრმა ნაკადულივით იჩუხჩუხოს და იდინოს.

სწორედ მშრომელთა აქტიურობა, თავიანთი როლის, მოვალეობის ნათელი შეგნება შეხანიშნავად გამოჩნდა ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე გამართულ პროფკავშირული ჯგუფებისა და საამქრო ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებმაც საერთოდ პროფკავშირების წევრთა მაღალი აქტიურობით ჩაიარა. საქმიანი სჯა-ბაასი, ობიექტური, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, პრობლემების გადაჭრისათვის ხწორი გზების არჩევა — აი რა არის დამახასიათებელი პროფჯგუფებისა და საამქრო პროფკავშირული ორგანიზაციების კრებების დიდი უმრავლესობისათვის.

თბილისის № 1 მსუბუქი ავტომობილების სატრანსპორტო საწარმოს მძღოლთა ბრიგადის პროფკავშირული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დამსწრეთა საერთო რიცხვის თითქმის მესამედი გამოვიდა კამათში. როგორც პროფჯგუფის ხელმძღვანელმა, ისე კამათის მონაწილეებმა ბევრი საინტერესო წინადადება წამოაყენეს საწარმოს სოციალური განვითარების შესახებ, არა მარტო თავიანთი ბრიგადის, ამასთან მთელი კოლექტივის წევრთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე.

მაგრამ როგორც წინა, ისე მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნების ზოგიერთი ფაქტი იმასაც ნათელყოფს, რომ ყველგან ვერ აფასებენ სწორად პროფკავშირული კოლექტივის მებრძოლურობას, მის დიდ როლს ჩვენი ცხოვრების, შრომის, ყოფის აქტუალური პრობლემების გადაჭრაში. რა თქმა უნდა, დიდ მაორგანიზებელ როლს ვერ შეასრულებს ისეთი საანგარიშო-საარჩევნო კრება. როგორიც ამ დღეებში ერთ-ერთ პროფკავშირულ ჯგუფში გაიმართა. აქ, სულ რამდენიმე სიტყვიანმა საანგარიშო მოხსენებამ კარგი ტონი ვერ მისცა კამათს, ვერ წამოჭრა საჭირბოროტო საკითხები, ვერავინ აადელვა და ჩაფიქრა.

ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, სხვაგანაც არის. ახლა, როცა პროფჯგუფებსა და საამქრო ორგანიზაციებში დაწყებულმა სჯა-ბაასმა პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებში გადაინაცვლა, ხოლო შემდეგ რაიონულ, საქალაქო, საოლქო, დარგობრივ პროფკავშირთა კონფერენციებზე გაგრძელდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთხელ კიდევ გულმოდგინედ შევამოწმოთ ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიისათვის მზადყოფნა, გავითვალისწინოთ ყოველი დეტალი, რადგან, როგორც ამბობენ, ანგარიშგება-არჩევნების დროს არაფერი არ არის წვრილმანი. წლეულს აღარ უნდა განმეორდეს ისეთი შეცდომები, როცა ზოგან კრებების მეორედ ჩატარებაც კი მოუხდათ.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, ძალიან ბევრს ავალებს ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოებს. მათ ბოლო წლებში შესანიშნავი გამოცდილება შეიძინეს, საყურადღებო ნიახლეებიც დანერგეს. ამჟამად რესპუბლიკის პროფსაბჭოში, სხვა დიდ გულმოდგინე მოსამზადებელ მუშაობასთან ერთად, იწვევენ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, მათთან ერთად მუშავდება საყოფაცხოვრებო და სხვადასხვა საგრიბოროტო საკითხები... მაგრამ აქაც, ისევე, როგორც ყველა დიდ საქმეში, თავიდათავი, მთავარია პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს კი ამჟამად სხვა ათასი საზრუნავიც აქვთ. ანგარიშგება-არჩევნები უკვე დაიწყო პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებშიც. მალე იგი პირველადს ორგანიზაციებში გაგრძელდება. ასეთივე პასუხსაგები ეტაპი აქვთ კომკავშირულ ორგანიზაციებს. როგორ განაწილდეს პარტიული ორგანოების ყურადღება? ამ მხრივ საუკეთესო პასუხს იძლევა გამოცდილება პარტიის თბილისის, ქუთაისის საქალაქო და სხვა კომიტეტებისა, რომლებიც სამივე კამპანიას ერთიან პროცესად განიხილავენ და წინასწარ ღრმად მოფიქრებული ერთიანი გეგმით მოკმედებენ.

ცოტა ყურადღება როდი სჭირდება პროფკავშირულ ორგანოებში ახარჩევი კანდიდატურების შერჩევას. დასამალი როდია, რომ ზოგან გათავისუფლებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარედ რეკომენდაციას აძლევენ უინიციატივო და ხუსტ მუშაკსაც, მხოლოდ იმ საბაბით, რომ მისთვის სამუშაო გამონახონ. არადა, სწორედ იმ პიროვნებაზე, ვინც პროფკავშირულ ორგანიზაციას მეთაურობს, დიდად არის დამოკიდებული კოლექტივში ხაქმის წარმატებაც.

„პარტიას პროფკავშირები მასებში თავის საიმედო დასაყრდენად, დემოკრატიის განვითარების, კომუნიზმის მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრ საშუალებად მიაჩნია" — აღნიშნა პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ახლანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ჩვენმა პროფკავშირებმა კიდევ უფრო განიმტკიცონ ბრძოლისუნარიანობა, გაზარდონ თავიანთი წვლილი მეთერმეტე ხუთწლედის პირველი წლისა და მთლიანად ხუთწლედის საპატიო დავალებათა შესრულებისათვის კეთილშობილური ბრძოლაში.

ახლა გულისყური — მესამე კვარტალის გეგმას!

ჭიათურა

უკვე ერთი თვეა, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ნოვატორი გვირაბგამყვანი გ. ბაქრაძე 1982 წლის ანგარიშში მუშაობს. მან 390 ტონით გადააჭარბა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის პირად დავალებას.

— მეთერმეტე ხუთწლედის ანგარიში დიდი ხანია გავხსენი, ახლო მომავალში ალბათ, მეთორმეტე ხუთწლედის ანგარიშში დავიწყებ მუშაობას და პარტიის მომავალი ყრილობის გახსნამდე მის შესრულებასაც ვუპატაკებ ქვეყანას, — გვითხრა მან. ასეთია სახელოვანი ნოვატორის სიტყვა და საქმე.

(საკ. კორ.).

ცხინვალი

გამართულად იწყო მუშაობა რეკონსტრუირებულმა ხე-ტყის კომბინატმა. ახალი საავეჯო საამქროს მექანიზებული ხაზები ტექნოლოგიური რეჟიმით ამუშავდა, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ წლეულს შარშანდელთან შედარებით 250 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გასაღდა.

ამას წინათ კომბინატელებმა სასიხარულო ამბავი შეიტყვეს: მათ მიერ გამოშვებულ ორ და სამკარიან ტანსაცმლის კარადებს საპატიო ხუთკუთხა ნიშანი მიენიჭა. (საკ. კორ.).

ფულუკიძე

მეთერთმეტე ხუთწლედში კარგ შედეგებს აღწევს „პოლიმერკონტეინერის" ქარხნის კოლექტივი. აქ გადაჭარბებით სრულდება როგორც მთლიანი პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის გეგმები.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შეფარდებით წარმოების ზრდის ტემპმა 19,2 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად მატულობს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილიც (44,6 პროცენტი).

სოციალისტურ შეჯიბრებაში დანინაურდა პოლიეთილენის ტომრების მლებავთა ბრიგადა (ბრიგადირი ნ. ფაილოძე), საწარმოს მოწინავე მუშები ვ. შუბლაძე, ს. ჭანტურია და სხვები. (საკ. კორ.).

სურათზე: შეხვედრის დროს. (საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო).

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ლე ზუანის შეხვედრა

7 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი კრემლში შეხვდა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლე ზუანს, რომელიც მეგობრული ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

საუბარში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. გ. მოროზოვი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ბ. ნ. ჩაპლინი.

ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტო ჰიუ, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დაუ ნგოკ სუანი და სხვა ოფიციალური პირები.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასიათა სსრ კავშირის სამნაო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული ორგანოზაციები და ფოლიტიკურ-ორგანოზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, რათა უზრუნველყონ სტაბილური და მტკიცე წინსვლა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. საკვანძო ამოცანაა ეკონომიკის ინტენსიფიკაცია. ეს მოითხოვს მუდმივ ყურადღებას სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფისადმი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას, კადრების პროფესიული და პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებას, ყველგან და ყველაფერში მკაცრი მომჭირნეობის რეჟიმის დამყარებას.

ამხ. ლე ზუანმა ილაპარაკა ვიეტნამელი ხალხის თავდადებულ მუშაობაზე ეკონომიკის აღდგენა-განვითარებისათვის, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის V ყრილობისათვის გაჩაღებულ მზადებაზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ლე ზუანმა „კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობა დინამიკურად ვითარდება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით. გაფართოდა ურთიერთობა პარტიული და სახელმწიფო ხაზით, გაიზარდა ეკონომიკური თანამშრომლობის მოცულობა. საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად უწყობს ხელს სოციალისტური ვიეტნამის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ამხ. ლე ზუანმა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით უღრმესი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს იმ ქმედითი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას უწევს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ პოლიტიკას, აგრეთვე ჩინეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს შედეგად მოჰყვა ვითარების გართულება მსოფლიოში, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ვიეტნამის, ლაოსის, კამბუჩიის ხალხები ჯერ კიდევ მოკლებული არიან შესაძლებლობას მთელი თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ მშვიდობიან, აღმშენებლობითს ამოცანებს.

სსრ კავშირი და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა დარწმუნებული არიან, რომ აზიაში უშიშროების დამკვიდრება ამ რეგიონის სახელმწიფოთა საერთო მიზანი უნდა გახდეს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ლე ზუანმა გამოთქვეს რწმენა, რომ სოციალისტური სახელმწიფოების თანამიმდევრული პოლიტიკა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას ისახავს მიზნად, სხვადასხვა სახელმწიფოს პასუხისმგებელი პოლიტიკური წრეების პოზიტიურ გამოხმაურებას პოვებს, მას ეერგიულად დაუჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოებრიობა.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ლე ზუანის შეხვედრამ გულიოად, ძმურ გითარებაში ჩაიარა და ახასიათებდა განსახილველ საკითხებზე შეხედულებათა სრული ერთიანობა. (საკადრი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობის, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში უდიდესი ამაგის, მშვიდობის დამკვიდრების, რეალური სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების საქმეში დიდი ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 4 სექტემბერი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ

ტოდორ ჟივკოვს

ძვირფასო ამხანაგო ტოდორ ჟივკოვ!

თქვენი სამოცდაათი წლის თავის დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ძმურ კომუნისტურ სალამს გითვლიან და გულითადად მოგესალმებიან თქვენ, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს.

თქვენი სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან ბულგარეთის მიწა-წყალზე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, სოციალიზმის დამკვიდრებისათვის. კარგად არის ცნობილი ღვაწლი, რომელიც თქვენ მიგიძღვით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზის შემუშავებასა და განხორციელებაში, იმ ისტორიულ წარმატებათა მიღწევაში, ბულგარეთმა რომ მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის წლების მაჩეილზე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებაში.

საბჭოთა ადამიანები გიცნობენ თქვენ როგორც თანამიმდევრულ მარქსისტ-ლენინელს, ინტერნაციონალისტს, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის, ჩვენი ქვეყნების განუხრელი დაახლოების მხურვალე ქომაგს, როგორც სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის აქტიურ მებრძოლს. საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ თქვენს დაუღალავ მოღვაწეობას საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის შენელების შენარჩუნების, მშვიდობის დამკვიდრებისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ, კარგად ყოფნასა და დღეგრძელობას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაში. მომზე ბულგარელი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი საერთო კომუნისტური საქმის გასამარჯვებლად.

ლ. ბრეჟნევი.

ხალხის საკეთილდღეოდ

კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა. განიხილეს საკითხი, თუ რა მუშაობას ეწევიან კვების მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის.

მომხსენებლებმა — დეპუტატთა ერთობლივი მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელებმა ვ. ს. მურაზოვსკიმ და სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრმა ვ. პ. ლეონმა, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნით წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის, პრინციპულად ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის, სასურსათო პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის ამაღლების გზით სასურსათო პროგრამის ამოცანების გადაწყვეტაში.

დარგის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა საქმიანობის დადებითი შედეგები გამოვლინდა იმ მხრივ, რომ მათ შეიმუშავეს ახალი ეფექტური ტექნიკური გადაწყვეტები და დანერგეს კვლევის შედეგები წარმოებაში, გამოიყენეს სხვადასხვა სასურსათო დანამატები, რომლებიც უზრუნველყოფს ნედლეულის რაციონალურ გამოყენებას.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და მისი საქვეუწყებო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზებია. გაერთიანებათა საქმიანობის შედეგები ჯერ კიდევ ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის რეალიზაციაზე, კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ძმიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონე დარგში სულ 52 პროცენტს შეადგენს. კვლავინდებურად დაბალია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ნარჩენების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიური საქმეების დანერგვის პროცენტი. გაერთიანებები ჯერ-ოვან ყურადღებას არ უთმობენ წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავებას. სამინისტრო უალრესად ნელა აღმოფხვრის სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ბაზის ჩამორჩენას, რისთვისაც იგი სკკპ XXVI ყრილობაზე გააკრიტიკეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, დიდი ყუთათიანობის, ცილითა და ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტების გამოშვების რეზერვების გამოყენებას, უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესების ხვედრითი წილისა და მათი ინტენსიფიკაციის ზრდას, მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად კვების მრეწველობისათვის განკუთვნილი მოწყობილობის შექმნას, რომელიც მსოფლიო სტანდარტების შესაფერისი და მათზე უკეთესი უნდა იყოს.

კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რათა ამაღლდეს იმ მუშაობის ეფექტიანობა, რომელსაც კვების მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი ეწევიან სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. გილაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები.

(საკადრი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ძნელი გზა წარმატებისაკენ

ᲓᲦᲔᲡ აფხაზეთის 35-ვე საიჯარო ორგანიზაცია სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მიხედვით გეგმავს და აფასებს თავის საქმიანობას. მეურნეობრიობის ახალი სისტემის. უპირატესობა აშკარაა. ამას ცხადყოფს ასამოქმედებელ მშენებლობათა საეტაპოლოგიოდ გადაცემა გასულ წელს. თუ 1979 წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს აფხაზეთში დისლოცირებულმა ორგანიზაციებმა ასამოქმედებელი ობიექტების მხოლოდ 55 პროცენტი ჩაყენეს მწყობრში, შარშან ეს მაჩვენებელი 70 პროცენტამდე გაიზარდა.

გვახარებს მიმდინარე წელიც. შვიდი თვის შედეგების მიხედვით საიჯარო ორგანიზაციებმა 104,7 პროცენტით შეასრულეს სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის ჩაბარების დაგალება. და კიდევ ერთი შედარება. თუ შარშან ასამოქმედებელი მშენებლობები ყველა მშენებარე ობიექტის 56 პროცენტს შეადგენდა, წელეულს 70 პროცენტს შეადგენს.

ახლებურმა მეურნეობრიობამ ამ სტიმული მისცა რეზერვების აქტიურ ძიებას, დროისა და რესურსებისადმი მომჭირნე, ყაირათიან დამოკიდებულებას. მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი მშენებლობის. — ოჩამჩირის კომბინატის საკვების ქარხნის მშენებლებმა, რომლებიც უნარიანად იყენებენ მეურნეობრიობის ახალი სისტემით დასახულ შესაძლებლობებს, გადაწყვიტეს ვადამდე ერთი თვით ადრე, პირველი დეკემბრისათვის ჩააბარონ ობიექტი. ეს კარგი თაოსნობა — ვადამდე ჩაბარონ ახალი სიმძლავრენი და ნაგებობანი — ბევრმა კოლექტივმა გაიზიარა.

მაგრამ არის პრობლემებიც. ცნობილია, რომ სამშენებლო სამუშაოებს ახლა მეტწილად ბანკი აკრედიტებს, კრედიტის მიღება კი შეუძლიათ მხოლოდ კარგი ფინანსური მდგომარეობის მქონე ორგანიზაციებს. მაგრამ მეტწილ საიჯარო ორგანიზაციათა საფინანსო ბარომეტრი ჯიუტად აჩვენებს „ავდარს“. მშენებლობის სამინისტროს ოთხ ძირითად ქვედანაყოფს აფხაზეთში სახელმწიფოსი 13 მილიონზე მეტი მანეთი ემართათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ გაუწიეს დახმარება 8,6 მილიონი მანეთის ოღენობით, მოხერხდა მდგომარეობის გამოსწორება — ამ ორგანიზაციებმა კრედიტის უფლება მიიღეს. მაგრამ ცხადია ერთი რამ: მათ ახლა უნდა ზღონე წარსული ცოდვები, რომელთა შედეგადაც დაუგროვდათ ვალები და მშენებლები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ.

ამ ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ ზოგიერთი მოიჯარე ძალებსა და სახსრებს თავს არ უყრის ასამოქმედებელ მშენებლობებზე. არადა, ახლა ხომ საექსპლოატაციოდ ობიექტის დადგენილ ვადაში გადაცემის ჩაშლისათვის დიდი თანხებია გადასახდელი. ავიღოთ მაგალითისათვის ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატი. პირველ ნახევარწლეულში მან ვერ ითამაშედა 2,5 მილიონი მანეთი ღირებულების ოთხი ობიექტი. ამისათვის მშენებლებს 500 ათას მანეთზე მეტი გადახდევინდა. ობიექტის ამოქმედების ჩაშლისათვის 200 ათასი მანეთი გადიახდა № 6 ტრესტმა. რას ნიშნავს ეს ციფრები? იმას, რომ მშენებლებს აკლდებათ სახსრები თავიანთი საბრუნავი ფონდებიდან, ისინი კარგავენ მოგებას, ვერ იღებენ პრემიებს, კვეცავენ თავიანთ სოციალურ პროგრამას.

ყოველივე ამას მარტო თვით მშენებლებს შეეცდომები როდი განაპირობებს. მეურნეობრიობის ახალი სისტემის თანახმად წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი ხდება ყველა იმათი მჭიდრო ურთიერთმოქმედება, ვისზეც დამოკიდებულია მშენებლობის ბედი. ავიღოთ თუნდაც პროექტები. მათში დაშვებული ხარვეზების, ზოგჯერ კი შეცდომების, აგრეთვე დროულად გამოუანგარიშებელი საბითუმო ფასების გამო ბევრი დაბრკოლება იქმნება. მაგალითად, № 6 ტრესტის მშენებლთა მიერ ცხრა ობიექტის პროექტების ხარისხისადმი გამოთქმული შენიშვნების მიხედვით შემკვეთებს მოუხდათ მათი გადაკეთება, სამუშაოთა ღირებულების გაზრდა 980 ათასი მანეთით. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მას შემდეგ, რაც მოიჯარე პრეტენზიებს გამოთქვამს, დიდი დრო გადის, სანამ იგი მიიღებს კუთვნილ თანხას გადაკეთებისათვის. თუ წინათ ამგვარი მდგომარეობა რამდენადმე ასატანი იყო მშენებლებისათვის, მეურნეობრიობის ახალი სისტემის პირობებში ისინი ათასობით მანეთს უხდიან ბანკს საჯარიმო პროცენტების სახით. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახლებურად მუშაობის დროს **საჭიროა მკვეთრად ავამაღლოთ საპროექტო და საძიებო სამუშაოების და მეტადრე ხარისხოვანიცსგო საქმის ხარისხი.**

სამშენებლო კონვეიერს მხარს ვერ უბამენ მატერიალური რესურსების მიმწოდებლები. ახლა ამაღლდა მიმწოდებელთა პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვისა და პროდუქციის დროული მიწოდებისათვის. მაგრამ სანქციები აშკარად არასაკმარისია, ისინი არ ეფარდება იმ ზარალს, რომელიც საბოლოოდ მოიჯარეს მოსდის. **საჭიროდ მიგვაჩნია გადაიხინჯოს ეს დებულება, რათა მიმწოდებლებსაც და შემკვეთებსაც მშენებლების თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ მშენებლობის პროცესის გაჯიანურებისათვის.**

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთ შემკვეთს კვლავინდებურად შეაქვს მშენებლობის გეგმაში ობიექტები, რომლებიც უბრუნველყოფილი არ არის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. მაგალითად, № 6 ტრესტს პროგრამაში შეუტანეს უდოკუმენტაციო 1,25 მილიონი მანეთი ღირებულების ობიექტები, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრესტის არარეალურმა მოცულობამ 1,1 მილიონი მანეთი შეადგინა. ცხადია ერთი რამ: **უნდა ამაღლდეს მომთხოვნელობა ფეგმავი ორგანოებისადმი,- ვინაიდან სახაკონლო სამშენებლო პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით მშენებლობის პროგრამირება მოითხოვს ხარისხიან, დასაბუთებულ, შეწონასწორებულ დავალებებს.**

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი მთავარი სადღეისო ამოცანაა მიაღწიონ გარკვეულ ძვრებს ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების აზროვნებაში, დაეხმარონ მათ დაეუფლონ მართვის ახალ მეთოდებს. აფხაზეთში განსაკუთრებული კონტროლი დაუწესდა მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის დანერგვას. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულების საყოორდინაციო საბჭოები, კონტროლის ჯგუფები. ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში გაწეული მუშაობის შესახებ სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების ანგარიშების მოსმენა.

მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი პარტიულ ორგანოებს მიზნად უსახავს სამშენებლო პროცესის ყველა მონაწილის მუშაობაში შეთანხმებულობის უზრუნველყოფას. ეს ამოცანა ნიადაგ დღის წესრიგშია.

ო. ზუნგაია,

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲣᲧᲐᲠᲘ კოლექტივის უურადღების ცენტრშია ზრუნვა მშობიარი ქალაქის კეთილმოწყობისათვის. სანიმუშო საცხოვრებელი სახლისათვის, ქუჩისა და ბაღისათვის. ფოთელმა ნავსადგურელებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამუშავების წლის პირველი ნახევრის გეგმა, კალდებულება იკისრეს არც ერთი გემი ნორმატიულზე მეტ დროს არ იდგეს ნავმისადგომებთან და წლიური გეგმა ვადამდე, 20 დეკემბრისათვის შეასრულონ, ხოლო ჭარბი შემოსავლის გარკვეული თანხა გადარიცხონ ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მიმდინარეობს გემის გადმოტვირთვა ფოთის ბაზღვაო ნავსადგურის ერთ-ერთ მისადგომთან; მექანიზატორ დოკერთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი აკაკი მექვაბიშვილი (მარჯვნივ) და დოკერი გურამ მიმინოშვილი.

ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲘᲪᲮᲚᲘ

იდეოლოგიურ მუშაკთა ამოცანები

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (საკ. კორ.) გაიმართა ავტონომიური რესპუბლიკის იდეოლოგიური დარგის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ამოცანების შესახებ ინფორმაცია გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმატებით ინერგება იდეოლოგიური მუშაობის, ახალი ფორმები და მეთოდები. ასე მაგალითად, პარტიის საოლქო კომიტეტის შესაბამის განყოფილებასთან შეიქმნა იდეოლოგიური მუშაობის მოწინავე გამოცდილების, პროპაგანდისა და დანერგვის ტრიბუნა. ანალოგიური ტრიბუნები შეიქმნა საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან. თათბირზე აღინიშნა, რომ პრაქტიკაში დაინერგა და ყოველთვიურად აღინიშნება იდეოლოგიური მუშაკის დღე. ამ დღეს იმართება საუბრები შრომითს კოლექტივებთან, ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან.

პარტიის რაიკომებთან, დიდ პარტიულ ორგანიზაციებთან მოქმედებს სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატის, დეპუტატის, სოციალისტური შრომის გმირის გაკვეთილები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.) პარტიის რაიკომის ბიუროს მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა კომუნისტთა ოჯახების ანგარიშების მოსმენა.

ამას წინათ ასეთი ანგარიშით ბიუროს წინაშე წარდგა კომუნისტი ალექსანდრა (შურა) ბუხრაშვილი — მოწინავე ბედადგი, აგიტატორი, გამოცდილი მევენახე, მესიმინდე, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, სოფლის გულშემატკივარი და მეზობლების სამაგალითო დამხმაგებელი. ეს ზოგიერთი ცნობა კომუნისტი ქალის შესახებ.

შ. ბუხრაშვილმა ბიუროს სხდომაზე ილაპარაკა თავის საზოგადოებრივ საქმიანობაზე. ამასთან კონკრეტულად თქვა თუ რა წვლილი შეაქვს პარტიის მიერ დასახული სასურსათო პრობლემის გადაჭრაში. რაიკომის ბიურომ მისაბაძ მაგალითად დასახა შ. ბუხრაშვილის „საოჯახო ფერმის“ საქმიანობა. აღინიშნა, რომ მისმა ოჯახმა წელს სახელმწიფოს მიჰყიდა 1.494 კილოგრამი ხორცი, რომლის საზღაურად 3.268 მანეთი მიიღო. ამჟამად იგი ასუქებს კიდევ 40 ღორს და წლის ბოლომდე სულ ცოტა 5 ტონა ხორცს მიჰყიდის სახელმწიფოს.

კომუნისტის ოჯახის შესახებ უკვე იღებენ დოკუმენტურ ფილმს, დაისტამბა კარგად გაფორმებული „გამოცდილების ფურცელი“.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ-ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ Ა�პᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატში გამოძალეისა და მექრთამეობის ახლახან გამოვლენილი ფაქტები, სასტუმაში ვითარების გაჯანსაღების ამოცანები სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ღონმა და პრინციპული განხილვის საგანი გახდა.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დ. დვალიშვილის მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესაბამისად საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მ. გორგოძის, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის ლ. ქუთათელაძის და სხვების გამოსვლებში ღრმად იყო განანალიზებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაობაში. დაისახა მათი სწრაფად აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

თათბირზე მიღებულია მიმართვა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ყველა კონტროლიორ-რევიზორისადმი, რომლებიც განსაზღვრულია საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შედეგომი გაუმჯობესების გზები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა ქალაქ თბილისში გამართულ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. (საქინფორმი).

როდემდე ვიმუშაოთ ასე?

მაქსიმალურად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები

ᲛᲘᲡᲬᲐᲣᲥᲘ მრეწველობის წინაშე მდგომი ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე თქვა, რომ „საჭიროა გავითვალისწინოთ მსუბუქი მრეწველობის აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, გავაუმჯობესოთ მისი მომარაგება ნედლეულით და მასალებით, სრულვყოთ დარგის დაგეგმვა და მართვა“.

ამ მხრივ მეთერთმეტე ხუთწლედში მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვიტოს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებამაც, უწინარესად საჭიროა უმოკლეს ვადაში დავძლიოთ ხანგრძლივი ჩამორჩენა. უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანებში საქმის გამოსასწორებლად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა გაერთიანების კოლექტივმა 101,5 პროცენტით შეასრულა. 50 მილიონ 380 ათასი მანეთის ნაცვლად დაამზადა 51136 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის გეგმა შესრულდა 100,2 პროცენტით, ერთწელარა ნართის გამოშვების დავალება — 100 პროცენტით, ხოლო მზა ქსოვილებისა — 100,9 პროცენტით.

ძირითადად ჩვენს გაერთიანებაზეა დამოკიდებული რესპუბლიკაში ბამბის ქსოვილების წარმოების გადიდება. რესპუბლიკაში გამოშვებული ბამბის ქსოვილების 87 პროცენტი კომბინატზე მოდის. უკვე კარგა ხანია წარმოებაში შეიქმნა შეუსაბამობანი მოსამზადებელ და პროდუქციის გამომშვებ საამქროს შორის, დაირღვა ტექნოლოგიური რეჟიმებისათვის საჭირო პირობები, დანადგარების სიძველისა და ნაკლებობის გამო გაუარესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, ამან ხელი შეუწყო დენადობის გადიდებას, გაიზარდა გაცდენების პროცენტი.

ზემდგომი ორგანოების დადგენილება გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მნიშვნელოვანი მოვლენაა გაერთიანების ცხოვრებაში. ამ დოკუმენტმა დასაბამი მისცა გაერთიანების (ეტაპობრივად) ახალი ტექნიკით აღჭურვას. ნულოვანი წერტილიდან დაიძრა გაერთიანების რეკონსტრუქციის სამეტაპიანი პროგრამა. ეს ამ-ეტაპიანი პროგრამა №1 სართავი წარმოებიდან და მისი ძირითადი სამუშაოები მალე უნდა დამთავრდეს. ამას 2935 ათასი მანეთი მოხმარდება. დაწყებულია აგრეთვე №2 სართავი წარმოების რეკონსტრუქცია, მას ახალ საწარმოო კორპუსს მიაშენებენ.

ბოლო ხანს დიდი სამუშაოები შესრულდა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგარების დიდი მწარმოებლური მანქანებით შეცვლისათვის. დამონტაჟდა 1041 ტექნოლოგიური ერთეული, მათ შორის ეზეკ მომექანიკური სართავი მანქანების უბანი (36 მანქანა). ეს კი სიახლეა საფეიქრო მრეწველობაში. №1 სართავ წარმოებაში მთავრდება ახალი სავარცხნ-საჩეჩი და საჩეჩი მანქანების დამონტაჟება, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები და წლიურად დამატებით 400-500 ტონა მაღალხარისხოვანი ვარცხნილი ნართი გამოვუშვათ. ეს კი იმის წინამძღვარია, რომ შემცირდეს ნართის წუვეტიანობა შემდგომ ტექნოლოგიურ გადასვლებში და გაიზარდოს საკაბე და საპირანგე ქსოვილების წარმოება. შარშან დამთავრდა ჩვენი ფილიალის — ახალციხის საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა, სადაც 480 საქსოვი დაზგა დაიდგა. ამ სიმძლავრეთა ათვისებით გაერთიანება 9.000 ათას კვადრატულ მეტრ ხამ ქსოვილს მიიღებს.

გარკვეული ორგანიზაციულ მუშაობა გაჩაღდა შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

მანქანა-დანადგარების მწარმოებლობა უკანასკნელ 10 წელიწადში 6,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 24, 6 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა გაერთიანება ამ მაჩვენებლებით ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს. მაშასადამე გადამწყვეტი ბრძოლაა საჭირო ამისათვის, რომ მიმდინარე ხუთწლედში ეს ჩამორჩენა უთუოდ დავძლიოთ.

საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობის ძირითადი მიზეზია გაერთიანების ფილიალების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალი დონე, რაც აუარესებს გაერთიანების საერთო მაჩვენებლებს. მუშათა დაბალი კვალიფიკაცია და სიმძლავრეთა ათვისებასთან დაკავშირებული სხვა სიძნელეები უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

ამჟამად მზა ქსოვილების ათი არტიკულიდან სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მინიჭებული აქვს რვას. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების მთლიან მოცულობაში 30 პროცენტს შეადგენს. გაუმჯობესებული ხარისხის მზა ქსოვილები საშუალოდ წლიურად 10 მილიონ მეტრამდე გამოდის და მათი დიდი რაოდენობა ბავშვებისათვის მზადდება. წლეულს გაერთიანების დესინატორებმა შექმნეს 2 ახალი ნიმუში, რომლებსაც მალე გამოვუშვებთ.

ზემდგომი ორგანოების დახმარებით მიმდინარე წელს წარმოებაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება. კაპიტალურად შეკეთდება საევნტილაციო დატენიანების დანადგარები, პნევმომექანიკური სართავ უბანზე დამონტაჟდა კონდიციონერი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ სართავი მანქანების მწარმოებლობა და დამატებით წლიურად 200-250 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი მივიღოთ.

მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებისა და მათი კაპიტალური შეკეთების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის ჩარხთსაშენებელი და მანქანათსაშენებელი ქარხნები გაერთიანებას დაუმზადებენ ისეთ სათადარიგო ნაწილებს, რომელთა სერიული გამოშვება საკავშირო მასშტაბითაც კი აღარ წარმოებს. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მანქანების ტექნიკური მდგომარეობას და აამაღლებს საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დონეს.

მიუხედავად მრავალი დაზგადანადგარის შეცვლისა, გაერთიანების საწარმოებსა და განყოფილებებში ჯერ კიდევ დაბალია შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. ჯერ კიდევ ბევრია ფიზიკურად და მორალურად დაცვეთილი მანქანა-დანადგარი და მოწყობილობა. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ახალი სამამულო და საზღვარგარეთული საქსოვი დაზგების დამონტაჟება, შემცირდება მუშახელის დეფიციტი და გაიზრდება ქსოვილების გამოშვება.

საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დაბალი დონე იმითაც არის გამოწვეული, რომ წლების განმავლობაში იცვლებოდა ნართის ნომრები და ასორტიმენტი. სართავ და საქსოვ წარმოებათა მოსამზადებელ საამქროებში მანქანა-დანადგრები თითქმის არ შეცვლილა, ძირითადი საამქროები კი ახალი ტექნიკით აღიჭურვა. ამან, თავის მხრივ, მოსამზადებელსა და ძირითად საამქროებს შორის შექმნა „ვიწრო ადგილები“. სამცვლიანი მუშაობა ვერ აკმაყოფილებს გამომშვები საამქროების ორცვლიან მუშაობას. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ გაერთიანების მთლიანი რეკონსტრუქცია უმოკლეს დროში უნდა განხორციელდეს.

საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის შემუშავდება 1981-85 წლების კომპლექსური ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ძირითადად გაერთიანების სპეციალისტებზეა დამოკიდებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ წინა წლებთან შედარებით უკანასკნელ პერიოდში გარკვეული ზრდის ტემპი გვაქვს, შარშანდელ მეოთხე კვარტალთან შედარებით ნართის გამოშვება 1,5 პროცენტით, ხამი ქსოვილებსა 4,9 პროცენტით, ხოლო მზა ქსოვილებისა 5 პროცენტით გაიზარდა.

მჭიდრო კავშირია დამყარებული გაერთიანების კოლექტივსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებს შორის, საწარმოებში დაინერგა ბევრი მეცნიერული მიღწევა, რომელთა ეკონომიკური ეფექტი დაახლოებით მილიონ მანეთს შეადგენს.

ი. ᲐᲓᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი.

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲞᲚᲣᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲐ

ᲨᲐᲕᲘᲨᲚᲘᲡᲞᲘᲠᲐ ქალაქის, ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მოცულობის 70 პროცენტზე მეტს საექსპორტო და იმპორტული საქონელი შეადგენს. აქ ყოველდღიურად შემოდის და გადის კაპიტალისტური და დემოკრატიული ქვეყნების საზღვრიფოფ ალმიანი ათობით ვემი. ქალაქის ზშირი ტუმრები არიან აგრეთვე ტურისტები, რომლებსაც კოლორული ღირსშესანიშნაობანი იზიდავს.

მშობლიური ქალაქის უსაზღვროდ მოყვარულმა ფოთელებმა სისხლხორცეულ საქმედ გაიხადეს საქალაქო მეურნეობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო დავალებათა შესრულების, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და სხვა სადღეისო პრობლემების გადაჭრა.

ბოლო წლებში ფოთში დიდი სასიკეთო ძვრები მოხდა. ამას ხელი შეუწყეს სახალხო დეპუტატებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ღონისძიებებს და აქტიურად იბრძვიან მათი განხორციელებისათვის.

მნიშვნელოვნად ამაღლდა საქალაქო საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების მომზადებამოწყობის დონე, გაიქტიურდა დეპუტატების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა საუბნო საბჭოების მუშაობა, მეტი ყურადღება ეთმობა მათი საქმიანობის საჯაროობას და დემოკრატიული პრინციპების დაცვას, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას. სხდომებზე იხილავენ ქალაქის კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი და სანიტარიული წესრიგის გაწმენდკეცების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეთათვის შეღავათების გაფართოების საკითხებს.

საბჭოს თითოეული სესია, მუდმივი კომისიის სხდომა, ბჭობის ნამდვილი სკოლაა. განსახილველი საკითხების მომზადებაში აღმასკომის განყოფილებათა გამგეების გარდა, მონაწილეობენ დეპუტატები, მშრომელთა აქტივი, რომლებიც ერთი თვით ადრე ეცნობიან დღის წესრიგს. სესიისა თუ სხვა ღონისძიებათა მომზადების პერიოდში საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემოსული მშრომელთა წინადადებები და შენიშვნები ფართოდ აისახება მოხსენებებსა და სესიის გადაწყვეტილებებში.

დეპუტატებმა გ. ნიკურაძემ, აკ. ტიკარაძემ, გ. ხოჭოლავამ, ქ. ჭანტურიამ, რ. ჭაჩიბაიამ, ი. მიტინმა, გ. კვიციანაძემ, გ. საფონოვსკიმ, რ. კილასონიამ და სხვებმა არაერთი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს.

აი ამ წინადადებათა ერთი ნაწილი:

ინვალიდებისა და შრომის ვეტერანებისათვის მიკროუბნების მიხედვით სასურსათო მაღაზიების გახსნა, მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის საშუალო სკოლებისა და საწარმო-დაწესებულებების შეფობის დაწესება; ნინოშვილის უბნის კლუბის რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხების გამოყოფა; ლიეპაიის ქუჩის მიკრომასივის კეთილმოწყობა, მის სკვერში ატრაქციონ „გვირილას“ ჩადგმა და სხვა. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ საკითხის მოსაგვარებლად დეპუტატებს დ. მაღალაშვილს, ბ. ტახოს, ფ. ბერაიას, ს. გვასალიას, გ. ხომერიკს, ლ. ნოდიას, ჯ. კიკაბიძეს, გ. შერგელაშვილს, ნ. რუხაძეს, ლ. ქირიას და გ. ჯალაღანიას დაავალა სამუშაოთა ზედამხედველობა.

შარშან დეპუტატების მიერ აღძრული საკითხების 67 პროცენტი ადგილზე შეისწავლეს და გადაწყვეტეს: ხორცს ისხამს 15 საკითხი, 26 შენიშვნა-წინადადება კი ზემდგომ ორგანოებს გადაეგზავნა.

მუშაობის ბევრი ახალი ფორმა გაჩნდა და დაინერგა საქალაქო საბჭოს აღმასკომში. მათ შორის აღსანიშნავია მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის შემოღება უშუალოდ ადგილებზე. აღმასკომის გასვლითი მიღების დღეები მოეწყო წისქვილქარხანაში, ავტოსტრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში, მეხუთე და მერვე საშუალო სკოლებში, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და წყალსადენის სამმართველოებში.

წყალსადენის სამმართველოში მიღებაზე (უფროსი ტ. ბუტკაძე) ზეინკალმა ო. კუპრეიშვილმა წინადადება წამოაყენა, აშენდეს ერთიანი ხიდ-ბოგირები, გაორმაგდეს არხები და აიკრძალოს ქუჩებში პირუტყვის გაშვება. პენსიონერმა ვ. ქარჩავამ მოითხოვა ჩამოკრილ მიწის ნაკვეთზე გაშენებული ნარგავების საფასურის ანაზღაურება. მანვე წინადადება წამოაყენა, რომ ქალაქის მოსახლეობას გამოეყოს ადგილი ბრუტუყვისათვის. სამმართველოს მუშაკების დ. კუციას, მ. კოკაიასა და ტ. ბუტკაძის წინადადებები ეხებოდა ქუჩების მოასფალტება-განათებას, წყალსაწრეტი არხების მოწესრიგებას, მიკროუბანში სასურსათო მაღაზიების უკეთ მომარაგებას, ტელეფონის ჯიხურის დადგმას, მედიკამენტებით მომარაგებას და სხვ.

მთხოვნელებს იქვე გასცეს პასუხი საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ შ. მატკავამ, ფოთვაჭრობის დირექტორმა გ. კოდუამ, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ ვ. ვეკუამ, კავშირგაბმულობის კვანძის უფროსმა ქ. სილოგავამ, ქალაქის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგემ გ. კაკულიამ, ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ჯ. ჭანტურიამ, მეორე სამშენებლო ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ე. მილორავამ.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კუხალეიშვილმა მიღებაზე მყოფ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა უახლოეს დროში წარუდგინონ აღმასკომს თავიანთი წინადადებანი საკითხების დროული გადაწყვეტის თაობაზე.

მუშაობის ასეთმა ფორმამ საქმეზე კეთილი გავლენა მოახდინა. მშრომელები აღმასკომში მისვლაზე დროს აღარ კარგავენ და საკითხებიც ოპერატიულად წყდება.

ᲤᲝᲗᲝᲚ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲐᲮᲔᲓᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ბენტონიტური თიხების მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი შემართებით იბრძვის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის და წარმატებასაც აღწევს. ეს კი იმის შედეგია, რომ მახარაძელებმა მტკიცე ბაზა შეუქმნეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციას. რამ განაპირობა ეს გამარჯვება? უწინარესად კადრების სწორმა შერჩევამ და განაწილებამ. სამმართველოს სპეციალისტების, განყოფილების გამგეების, უბნისა და ცვლის უფროსების 96 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს, ყოველმა მათგანმა სათანადო ეკონომიკური მომზადება გაიარა. შარშან მაგალითად, კვალიფიკაცია აიმაღლა 60 მუშამ და 6 ინჟინერმა.

სამმართველოს ხუთი საწარმოო რგოლიდან ყველაზე უკეთესი მაჩ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმის წინ

ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებებში ფართოდ და ღრმად არის ასახული მესტიისა და ლენტეხის რაიონების—საქართველოს ამ თვალწარმტაცი კუთხის აღორძინების კონკრეტული ღონისძიებანი. ცხადია, ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდნენ ჩვენი მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მეტადრე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილია „სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია“, რომლის საერთო გეგმითაც მრავალდარგოვანი ინსტიტუტები ახორციელებენ სხვადასხვა სამუშაოს სვანეთში. კომისიის მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე სხვადასხვა უწყება და ზოგიერთი სამინისტროს კვლევითი ინსტიტუტები. კომისიას წარმოადგენს მაკოორდინებელი ცენტრს, რომელიც თავს უყრის და წარმართავს მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ჩამოყალიბებულია ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ეკონომიკის, ბოტანიკის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის პრობლემათა, სპორტისა და სხვა დარგობრივი ჯგუფები.

გარდა ცალკეული ჯგუფებისა, სვანეთში ზაფხულობით მუშაობს კომისიის საერთო ექსპედიცია, რომელიც აერთიანებს აკადემიის

დღევანდელობა და პერსპექტივა

სვანეთის მეცნიერული შესწავლის პროგლემები

●●

ნამდვილ წევრებს, წევრ-კორესპონდენტებს, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წამყვან სპეციალისტებს. ისინი სისტემატურად ხვდებიან სვანეთის რაიონების ხელმძღვანელობას და აქტივს, აზუტებენ მათთან კომისიის საშუალო გეგმებს, მოხსენებებით გამოდიან ფართო აუდიტორიის წინაშე, კითხულობენ პოპულარულ ლექციებს, კონსულტაციას უწევენ დარგობრივ ექსპედიციებს. სხვადასხვა დროს ამ გაერთიანებულ ექსპედიციებში მონაწილეობა მიუღიათ აკადემიკოსებს: ი. ვეკუას, ვ. გულისაშვილს, ნ. კეცხოველს, ნ. ლანდიას, ა. ძიძიგურს, გ. თვალჭრელიძეს, ბ. ბალავაძეს, ვ. გომელაურს, ბ. გუგუშვილს, თ. ონნანს, შ. ძიძიგურს, წევრ-კორესპონდენტებს— ბ. ბარამიძეს, ა. სურგულაძეს, თ. ბარაძენიძეს, ი. ფაღავას, პროფესორებს — ზ. ჭუმბურიძეს, ო. ლორთქიფანიძეს, თ. მიქელაძეს, ს. ცაიშვილს, ს. კობალაძეს, ლ. ჭილაშვილს, გ. მარგიანს, უ. გაბუნიას, გ. გეგეშიძეს, გ. გველესიანს და სხვებს. აქტიურ მონაწილეობას იღებენ ექსპედიციების მუშაობაში საქართველოს სსრ საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსი ი. გოგიტიძე, ძველთა დაცვის სამმართველოს უფროსი, ი. ციცინაშვილი, კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტის დირექტორი თ. ჯანელიძე, მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე ო. გიგინეიშვილი, კომისიის სწავლული მდივანი ბ. გოიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერების სამმართველოს უფროსი ლ. ბერძენიშვილი, ეთნოგრაფი მ. ჩართოლანი, არქეოლოგი ზ. ჩართოლანი, გეოლოგი ბ. გუჯეჯანი, ლიტერატურათმცოდნე ს. სერებრიაკოვი და სხვანი.

ექსპედიციების მუშაობის შედეგად სვანეთში აღმოჩენილი და აღწერილია რამდენიმე ათეული ათასი ისტორიული მნიშვნელობის ნივთი, რომელთაგან უმრავლესობა სრულიად უცნობი იყო მეცნიერებისათვის. ეკლესიებში და მოსახლეობაში თავმოყრილი ეს საგანძური სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება — ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღეკანდლამდე. ჩატარებულია მასალის მეცნიერული აღწერა, სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია, გარკვეულ პუნქტებში თავმოყრა. ამასთანავე აღწერილია მონუმენტური არქიტექტურული ძეგლები—კოშკები, საცხოვრებელი კომპლექსები, ეკლესიები. აკადემიის პრეზიდიუმმა სხვადასხვა დროს გამოიტანა სათანადო დადგენილებები ამ უნიკალური ძეგლების დაცვის, აღრიცხვის, კონსერვაციი-რესტავრაციის, მეცნიერული დამუშავების, პუბლიკაციის და ექსპოზიციაში ჩართვის თაობაზე. კომისიის წინადადებათა საფუძველზე პირველად ჩვენს რესპუბლიკაში შემოღებულია ძეგლთა ზონალური დაცვა. ისტორიული ღირებულების ნივთები განლაგებულია და დაცული მესტიის რაიონის ექვს ზონაში, უზრუნველყოფილია მათი მოვლა-პატრონობა. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გადავიდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და გადაკეთდა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად. მალე მესტიის დაამშვენებს მუზეუმის ახალი შენობა. დაარსებულია გამოცემათა სერია „სვანეთი“, სადაც ქვეყნდება ნივთებისა და ძეგლების კატალოგები, აღწერები, სვანეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მასალები. შეძენილია ზემო სვანეთში არსებული უძველესი საცხოვრებელი კომპლექსები. კომისიის წინადადებით ნაკრძალად გამოცხადდა უშგულის სასოფლო საბჭოში შემავალი ორი სოფელი და სხვ.

მომავალში ეთნოგრაფებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა ფართოდ უნდა გაშალონ და გააღრმავონ ანალოგიური ძიებები ლენტეხის რაიონში და სრულად აღწერონ სხვადასხვა პუნქტებში გაბნეული ისტორიული ღირებულების ნივთები, მატერიალური კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები. ჯერჯერობით ამ მიმართებით მხოლოდ დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა.

საჭიროა დაჩქარდეს სვანეთში არსებულ უმნიშვნელოვანეს კულტურის ძეგლთა აღდგენა-რესტავრაცია ძეგლთა დაცვის სამმართველოს, რაიონის ხელმძღვანელობისა და სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის მიერ დადგენილი და დაზუსტებული სიის მიხედვით.

აქამდე მეცნიერთა ყურადღების არეში მოქცეული იყო მხოლოდ მიწისზედა ისტორიული ძეგლები, სვანეთის კომპლექსურმა კომისიამ პირველად წამოიწყო არქეოლოგიური გათხრები სვანეთში. დღესდღეობით აღმოჩენილია მეტად მნიშვნელოვანი ანტიკური ხანის ნამოსახლარები, მრავალფეროვანი კერამიკული მასალა და საკულტო დანიშნულების საგნები, მარცვლეულის ნაშთები. გაითხარა ლენტეხის შესასვლელთან მდებარე ძველი ციხე. ლენტეხის მიდამოებშივე პირველად აღმოჩნდა ქვის ხანის სადგომები. მიკვლეულია აგრეთვე მეტალურგიული სახელოსნოები. არქეოლოგიური გათხრები მეტი ინტენსიობით უნდა გაგრძელდეს ენგურჰესის, ტობარჰესისა და ხუდონჰესის ტერიტორიებზე.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ სვანეთის არქეოლოგიური ჯგუფი გარდაიქმნას მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციად და გაძლიერდეს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ეკონომისტებისა და სამართალმცოდნეების ჯგუფი სწავლობს სვანეთის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სატრანსპორტო მეურნეობის, შრომის რესურსებისა და მისი განვითარების პერსპექტივებს, სვანური ადათობრივი სამართლის ისტორიას. ამ ჯგუფთან გაერთიანებული სოციოლოგების კვლევა-ძიების საგანია მიგრაციის პრობლემები.

მნიშვნელოვანი შედეგებია აგრეთვე მოპოვებული ფოლკლორისტების, ენათმეცნიერების, ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეთა დარგობრივი ჯგუფების მიერ. მზადდება ცალკეული გამოკვლევები და მონოგრაფიები.

მეცნიერული საფარის შემსწავლელი ჯგუფი წლების განმავლობაში სწავლობდა სვანეთში ფლორასა და სისტემატიკას, უმდაბლეს მცენარეებს, ეწეოდა მდელოთა გეობოტანიკურ კვლევას, აწარმოებდა ეკოლოგიურ ძიებებს და ა. შ. ამ ნაყოფიერი მუშაობის შედეგები განზოგადებული და შეჯამებულია მრავალ ბროშურაში, სამეცნიერო გამოკვლევებში, ლენტეხში ბოტანიკოსების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო სესიებზე და სხვ.

თოვლის საფარისა და ზვავების რეჟიმის შემსწავლელი ჯგუფის ძიების შედეგები სარეცენზიოდ გადაეგზავნა საავტომობილო გზების სამინისტროს და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტს. შემდგომში სათანადო რეკომენდაციები გამოყენებული იყო ჯვარი-ხაიშის გზის მშენებლობისას.

მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული სვანეთის გეოლოგიური შესწავლის დარგშიც. გეოლოგიის ჯგუფში გაერთიანებული არიან გეოლოგიური ინსტიტუტი, საკავშირო გეოლოგიური სამინისტროს კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტი და საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველო. ინტენსიურად შეისწავლებოდა ქვედა და შუა იურული ნალექების სტრატიგრაფია, ცენტრალური კავკასიონის ტექტონიკა, კრისტალური ქანების ფორმირების საკითხები, არამადნეული წიაღისეული. მიმდინარეობს სოფელ ზესხოს მიდამოებში სპილენძ-პოლიმეტალური მადანგამოვლინების შესწავლა, რაც მეტად პერსპექტიულია და ამიტომ კიდევ უნდა გაფართოვდეს.

ლენტეხის რაიონში ცანის დარეშხანის საბადოს აღმოსავლეთით მდებარეობს კალის მადნის გამოსავლები. ჩატარებული საძიებო სამუშაოების უკმარისობის გამო შეუძლებელია ამ გამოსავლების სამრეწველო შეფასება, ამიტომ აუცილებელია აქ გეოლოგიური საძიებო სამუშაოების გაგრძელება და გაფართოება. სვანეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია არალითონური საბადოების საკმაოდ პერსპექტიული ბუდობები. განსაკუთრებით ბევრია ბეტონის შემავსებლები — ინერტული მასალები. სამშენებლო მასალების სამრეწველო საწარმოების მშენებლობა შესაძლებლობას მოგვცემს დაკმაყოფილდეს სვანეთის მოთხოვნილებები სამშენებლო მასალებზე და უზრუნველყოფილი იქნეს ახალი ობიექტების მშენებლობა.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიას შემუშავებული აქვს რეკომენდაციები სვანეთის ტერიტორიაზე სამენ მასალათა საბადოების დამუშავებისათვის.

შესწავლილია მინერალური წყლების ბუნებრივი გამოსავლები, გაირკვა მათი ქიმიური შემადგენლობა და მომავალი ათვისების შესაძლებლობანი. აღწერილია და დასინჯული ზემო სვანეთის მინერალური წყლების ბუნებრივი გამოსავლების სამოცდაათამდე ჯგუფი, მთლიანად სვანეთის ტერიტორიაზე აღრიცხულია ორასოცდაათამდე სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ნახშირმჟავა-მინერალური წყლები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორმა საქართველოს სსრ საწარმოო გეოლოგიურ სამმართველოსთან და საქართველოს სსრ პროფსაბჭოს ტრესტ „საქკალაჟმინწყლებთან“ ერთად ფართოდ გაშალოს ერთობლივი მუშაობა სვანეთში მინერალური წყლების ძიებისა და შესწავლის დარგში — ეს აუცილებელი პირობაა მომავალში აქ მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოების ორგანიზაციისათვის.

ენერგეტიკოსები წლების მანძილზე სწავლობდნენ მესტიისა და ლენტეხის რაიონების ენერგომომარაგებისა და ყოფა-ცხოვრებაში ელექტროენერგიის გამოყენების პრობლემებს. სათანადო რეკომენდაციები და დამუშავებული წინადადებები სისტემატურად ეგზავნებოდა ზემდგომ ორგანოებს.

სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია ჯეროვან ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების შესწავლასაც. იკვლევენ არა მარტო მოსახლეობის ავადმყოფობა და მის გამოწვევ მიზეზებს, არამედ სვანეთის სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის, მათი კვალიფიკაციის, მუშაობის პირობების საკითხებსაც. დღის წესრიგშე დგას ლენტეხის რაიონის კლიმატურ-ბალნეოლოგიური პუნქტების განვითარების შესწავლა.

კომისიის სპორტული ჯგუფი სწავლობს სვანეთში მთასვლელობისა და სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივებს. კომისიას მიზანშეწონლად მიაჩნია, რომ ლეხურის მყინვარის მიდამოებში აშენდეს ქოხ-თავშესაფარი (გამოყენებული იქნება სარეკორდო-საკონკურსო ასვლებისათვის, აგრეთვე ნიშნსნების, თანრიგოსნებისა და ოსტატების მოსამზადებელ საწვრთნელ ბაზად). სასურველია სვანეთში შეიქმნას რესპუბლიკური მნიშვნელობის პიონერთა სპორტული ბანაკი და საფუძველი ჩაეყაროს მესტიაში სათხილამურო ბაზის მშენებლობას.

შესწავლილია აგრეთვე ტყის საფარისა და სამრეწველო ჭრების მდგომარეობა სვანეთში. გამოირკვა, რომ გარკვეულ პერიოდში წარმოებული ჭრები დიდად აღემატებოდა წლიურ ნამატს. ექსპლოატაცია მიმდინარეობდა ექსტენსიურად, ჭრიდნენ გაცალებით მეტს, ვიდრე დაშვებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. გადაუდებელი ამოცანაა, სვანეთის შემსწავლელმა კომისიამ, სატყეო ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და ბუნების დაცვის კომიტეტმა ერთობლივად შეისწავლონ მესტიისა და ლენტეხის რაიონებში სამრეწველო ჭრასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხები.

სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიას მესტიისა და ლენტეხის რაიონებში სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია შემდგომი ღონისძიებების გატარება: მეცხოველეობის ფერმების რეკონსტრუქცია, ფერმების საკვებისათვის წყლის მიწოდებისა და დასუფთავების მექანიზაციის დამუშავება, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით აუთვისებელ მთის საძოვრებზე საავტომობილო და საბაგირო გზების გაყვანა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროსთან ერთად სათიბ-საძოვრების გასარწყავების ზაკითხის შესწავლა, ნიადაგური საფარის შედგენა და მისი კულტივაციისა და მიზნობრივად გამოყენების სქემების დამუშავება. ცხადია, ეს ღონისძიებანი შეიძლება განხორციელდეს თანდათანობით და გარკვეული თანმიმდევრობით.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამაში, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ მიიღო, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება და მეცხოველეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა ლიკვიდაცია. ამ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია პარაზიტული ჭიებით გამოწვეული დაავადებები ანუ ჰელმინთოზები, რომლებიც იწვევენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობის შემცირებას, ზრდაში ჩამორჩენას და ზოგჯერ სიკვდილსაც. ჩვენმა ზოოლოგებმა შეისწავლეს სვანეთის სასოფლო-სამეურნეო ფერმებში პარაზიტოლოგიური სიტუაცია და დასახეს გამოვლინებულ პარაზიტულ დაავადებათა წინაღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების გზები.

გარდა ამისა, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებიდან გათვალისწინებულია პირუტყვზე ბიოსტიმულატორ „კვატერინის“ სპეციფიკური აქტიურობის შესწავლა. დადგენილია, რომ ბიოსტიმულატორი „კვატერინი“ კარგად მოქმედებს ცხოველთა ზრდა-განვითარებაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წინაშე სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ მიღებულ დიდმნიშვნელოვან დადგენილებათა შესაბამისად დასახულია ახალი ამოცანები და გეგმები. ჩვენი მეცნიერები კვლავაც უფრო გააღრმავებენ და გააფართოებენ კვლევა-ძიებას სვანეთისა და საერთოდ საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

შ. ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკათა საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინფორმაციული ბიულეტენი

საერთაშორისო დიპლომატიის ზურგზე

7 სექტემბერი

განვამტკიცოთ სოლიდარობა

აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის განცხადება

ჰავანა. აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციამ მთელ მშვიდობისმოყვარე, პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებს მოუწოდა განამტკიცონ ჩილეს ხალხისადმი სოლიდარობის მოძრაობა.

ორგანიზაციის მიერ მიღებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ პინოჩეტის ფაშისტურმა დიქტატურამ, რომელმაც სისხლიანი გადატრიალების შედეგად დაამხო სახალხო ერთიანობის ,ანონიერი მთავრობა სალვადორ ალიენდეს მეთაურობით, ქვეყანაში გაამეფა ტერორისა და ძალმომრეობის რეჟიმი. ათასობით ჩილელი პატრიოტი დილეგებშია შეყრილი, ისინი სასტიკად აწამეს, დახოცეს ან „უგზო-უკვლოდ დაკარგულებად“ გამოაცხადეს. დევნისა და მასობრივი რეპრესიების მიუხედავად, დღითი დღე ძლიერდება ჩილეს ხალხთა ფართო მასების ბრძოლა, ჩნდება ხუნტისადმი წინააღმდეგობის ახალი ფორმები. ხალხი გარდაუვლად მოიპოვებს გამარჯვებას საძულველ დიქტატურაზე, ნათქვამია განცხადებაში.

დოკუმენტში მტკიცედ უჭერენ მხარს ჩილელ პატრიოტთა გმირულ ბრძოლას, სოლიდარობენ ყველას, ვინც პინოჩეტის დიქტატურის დამხობისათვის, ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული ჩილესათვის იბრძვის.

● ურუგვაი

უოლტერსის ვოიაჟი

გუენოს-აირესი. მონტევიდეოში ჩავიდა ვაშინგტონის დესპანი — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე, ამჟამად საგანგებო დავალებათა ელჩი ვ. უოლტერსი. მან პრეზიდენტ ალიგანის პირადი წერილი ჩამოუტანა ურუგვაის ახალ პრეზიდენტს გადამდგარ გენერალს გ. ალვარესს.

უოლტერსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეერთებული შტატები და ურუგვაი „ძველი მეგობრები“ არიან, რომელთა მეგობრობასაც ვერას დააკლებს „ხანმოკლე გაუგებრობა“.

● ინგლისი

მშვიდობის მარში დამთავრდა

ლონდონი. დამთავრდა ბრიტანეთის მშვიდობის დამცველთა მარში, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „ქალები მხარს უჭერენ განიარაღებას და ქვეყნად ნიცოცხლის შენარჩუნებას!“ 10 დღის მანძილზე მარშის მონაწილეებმა გაიარეს გრძელი გზა — უელსის ადმინისტრაციული ცენტრიდან ქალაქ კარდიფიდან გრინემკომონის სამხედრო ბაზამდე, რომელიც ქალაქ ნიუბერის მახლობლად მდებარეობს. ამერიკის მხედრიონი ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ნებართვით სწორედ აქ აპირებს ასამდე ფრთიანი რაკეტის განლაგებას.

მშვიდობის მარში დამთავრდა სამხედრო ბაზის ჭიშკართან გამართული მასობრივი მიტინგით. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა გულისწყრომით დაგმეს პენტაგონისა და ნატოს საშიში მოქმედება, რომლებიც სულ უფრო აძლიერებენ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას. მიტინგზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო კონტრუქციული დიალოგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებას.

● ინდოეთი

ბანგლადეშელ ბანდიტთა ბანდა

**ბანგლადეშ. ბანგლადეშის ეროვნული ფრონტის ბანდიტთა ბანდამ ბანგლადეშ-ინდოეთის საზღვარზე ინდოელ ფოსტიერ-ბანდიტთა ბანდა ალყაში ამოიღო. ბანდიტებმა ფოსტიერ-ბანდიტთა ბანდა ალყაში ამოიღეს,



ГОСУДАРСТВЕННЫЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ
ОРДЕНА ЛЕНИНА И ОРДЕНА ОКТЯБРЬСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

МАЛЫЙ ТЕАТР СССР

კლასიკა თანამედროვეობის პოზიციიდან

ა. ტოლსტოის ცნობილი ტრილოგიიდან „ივანე მრისხანეს სიკვდილი“ „მეფე თედორე იოანეს ძე“ და „მეფე ბორისი“ განსაკუთრებით პოპულარული „მეფე თედორე“, რომელსაც მდიდარი სცენური ისტორია აქვს.

ამ ტრაგედიაში ავტორს აინტერესებდა არა ისტორიული, არამედ ადამიანური სიმართლე, მან შექმნა არა ისტორიული ქრონიკა, არამედ ფსიქოლოგიური დრამა, რომელშიც ბეჩავი ისტორიული ფიგურა შეიცვალა კრისტალურად წმინდა პოეტური პიროვნებით, რომელსაც არ შესწევს ძალა სახელმწიფოს მართვისა.

დაწყებული თედორეს როლის პირველი შემსრულებლებიდან ვ. ორლენევიდან და მ. მოსკვინიდან, ყოველი შემსრულებელი ეძებდა საკუთარ გადაწყვეტას— ერთისთვის იგი ავადმყოფი, პათოლოგიური არსება იყო, მეორე ხედავდა კეთილ, მაგრამ სუსტ ადამიანს და ა. შ.

პიესის მცირე თეატრის სცენაზე დადგმისას ამ როლისათვის გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სმოქტუნოვსკი. ცნობილმა მსახიობმა ეს სახე გაათანამედროვა იმით, რომ ჰამლეტისებური რეფლექსით შეპყრობილი, დატანჯული, ჭკვიანი და შინაგანად ძლიერი პიროვნება წარმოსახა. ი. სმოქტუნოვსკის თეატრიდან წასვლის შემდეგ ამ როლის შესრულება რესპუბლიკის სახალხო არტისტს ი. სოლომინს დაეკისრა, შეიცვალა ზოგიერთი სხვა შემსრულებელიც, რის შედეგადაც სპექტაკლი წლების განმავლობაში უფრო გასრულდა და ამჯერად ახალი ფერებითა და ნიუანსებით გამდიდრებული წარმოგვიდგა. ასე რომ, დრომ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა და ბოლომდე გამოავლინა სპექტაკლის დამდგმელის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, აწ განსვენებული რეჟისორის ბ. რავენსკიხის საინტერესო ჩანაფიქრი. დამდგმელი გაჰყვა ავტორს, შეეცადა პიესა გაეთანამედროვებინა შინაგანი კონფლიქტების, ადამიანთა ხასიათების გახსნის საშუალებით. ეს სპექტაკლი თეატრის აღიარებული გამარჯვებაა და დღეს თბილისელებიც გახდნენ ამის მოწმენი.

თავიდანვე აღნიშნის ღირსია სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ გ. სვირიდოვის და რსფსრ სახალხო მხატვრის ე. კუმანკოვის ბრწყინვალე ნამუშევარი, რომელიც კარგად გადმოგვცემს პიესაში აღწერილი ეპოქისა, და გმირთა გაწყობილებას. უბედურების მომასწავებლად ღელეს გუნდი, რომელშიც გამოირჩევა ქალის მაღალი ხმა. იურლოვის სახელობის კაპელა მშვენივრად იწყებს სპექტაკლს, მის ტრაგიკულ მელოდიას თითქოს შეეყავართ შორეულ წარსულში, ძველი პალატების თაღებქვეშ. მუსიკა ორგანულად ერთვის სპექტაკლს, თითქმის ტრაგედიის მოქმედი პირი ხდება.

დიდი გემოვნებითაა შესრულებული კოსტიუმები.

დამდგმელმა შეადუღლა, შეკრა სპექტაკლის ყველა ელემენტი, ძალუმად გახსნა ნაწარმოების ფილოსოფიური კონცეფცია, ტრაგედიის ისტორიული კონფლიქტი.

მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორს სცენაზე არა ჰყავს გამოყვანილი მასა, სპექტაკლში იგრძნობა ხალხის ტრაგიკული ბედი, ხალხისა, რომლის მომავალს წყვეტენ უმწეო, უსუფთაო მეფე და ერთმანეთის მოქიშპე, ძალაუფლებისათვის მებრძოლი ბოიარები. ყოველი მიზანსცენა ღრმად გააზრებული, ემოციურად დატვირთულია. ავიღოთ, თუნდაც, მეფის აღმზრდელი, გოდუნოვის ერთგული ყმა ბოიარინი ლუპკლეშინი (სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ხოხრიაკოვი). იგი თითქმის ყოველთვის ძაღლივით არის წამოწოლილი იატაკზე. რა პატარა ჩანს ფიზიკურად სუსტი მეფის ფიგურა ახალგაზრდა გოლიათის, გოლუბის ფონზე, რა საოცრად კონტრასტულია ეს ორი ფიგურა, სცენები მსტილავსკების ბაღში, ანდა ფინალური სცენა, როცა ყველასაგან მიტოვებული თედორე და ირინე თავისთვის მწუხარედ ლოცულობენ, ხოლო მათ ზეგით ადიმართება გამარჯვებული ბორისი, ხელში იღებს მონომახის ქუდს, დროებით დააცქერდება და შემდეგ აგდებით ესვრის თედორეს...

სპექტაკლში უხვად არის გაბნეული ასეთი მეტყველი სცენები, რაც ნათლად ამეღვიძებს რეჟისორის დიდ ფანტაზიას, მის სურვილს ყველა ხერხი გამოიყენოს, რათა რაც შეიძლება ღრმად შეიჭრას კონფლიქტებში, ზედაპირზე ამოტანოს ადამიანთა ფარული ურთიერთობანი, ისტორიის თანამონაწილე გაგვხადოს. ყოველი ეპიზოდური როლი დიდი სიმართლით, პროფესიული ოსტატობით არის გადაწყვეტილი და მთლიანობაში, ყველანი ერთად შესანიშნავ, ერთიან სცენურ ნაწარმოებს ქმნიან.

რსფსრ სახალხო არტისტს ი. სოლომინს ჩვენ კარგად ვიცნობთ სხვა როლებითაც როგორც კინოში, ისე თეატრში. თედორეს როლს, ჩვენი აზრით, მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მასში გამოვლინდა მსახიობის ახალი თვისებები, მოხდა სრული გარდასახვის ფენომენი.

თედორეს სახე ერთ-ერთი ურთულესია რუსულ რეპერტუარში. იგი მოითხოვს არა მარტო ნიჭს, პროფესიულ სიმწიფეს, არამედ დიდ ემოციურ დაძაბულობას, მოულოდნელ ფსიქოლოგიურ გადასვლებს, კონტრასტულ განწყობილებებს. ამ სახის შექმნისათვის თ. სოლომინს, ცხადია, დიდი დრო და თავდადებული შრომაც დასჭირდა. უნდა ითქვას, რომ მსახიობმა შექმნა დასრულებული სახე, უაღრესად ეროვნული, რუსული ხასიათი. მას საინტერესოდ გაუაზრებია როლის ყოველი დეტალი, თავისუფლად გადადის ტრაგიკულიდან კომიკურ სიტუაციებში, მისი თედორე კეთილი, ნათელი ადამიანია, მაგრამ თანამედროვე მსახიობი ხედავს ამ სიკეთის მავნე, დამღუპველ მხარეებსაც და ამდენად არ ცდილობს გაამართლოს თავისი გმირი. ი. სოლომინი გვიხსნის ხასიათის სხვადასხვა შრეებს, მისი თედორე წმინდაა, გულუბრყვილო, უმწეო, მაგრამ ჭკვიანი. როცა წინააღმდეგობას აწყდება, ხედავს ბოროტებას, მასში იღვიძებს ივანე მრისხანეს სისხლი, საშინელი ხდება, მისი ყვირილი გამყივანი და შემაზრწენია. თედორე ხედავს, რომ სახელმწიფო საქმეებში მის ყოველ ჩარევას უბედურება მოსდევს. ცნობილ ფრაზას „მეფე ვარ, თუ არა“, რომელსაც სხვა შემსრულებლები ყვირილით წარმოთქვამენ, ი. სოლომინი დაფიქრებით ამბობს, თითქოს თვით ეპარება ეჭვი, არის იგი მეფე თუ ბორის გოდუნოვის სურვილების უნებისყოფო აღმსრულებელია... ცნობა დიმიტრის სიკვდილის შესახებ თედორეს დაარწმუნებს, რომ მისი კეთილი სურვილები ამაოა; მსახიობს გულის სიღრმიდან ამოხდება: „ღმერთო, რად დამსვი მეფედ!“

რსფსრ სახალხო არტისტი ვ. კორშუნოვი ბორის გოდუნოვის როლში გვიჩვენებს ჭკვიან, მოხერხებულ, სასახლის კარის ინტრიგებში გამობრძმედილ ადამიანს. მსახიობის საშემსრულებლო პალიტრა ძუნწია. მისი მიმიკა, ჟესტი კი ზუსტი და ლაკონური. უმეტეს შემთხვევებში ბორისი— კორშუნოვი სხვებს უსმენს, უყვირდება და თავისთვის ქსოვს, ხლართავს მათს მოსასპობ ბადეს. სახე მუდამ გაყინულია, იგი კარგად ფარავს გმირის შინაგან განცდებს, დინჯად, აუჩქარებლად მოქმედებს, — თედორე მისთვის ბავშვია, თოჯინად, რომელსაც შეუბრალებლად იყენებს საკუთარი მიზნებისათვის.

კორშუნოვის ბორისისაგან განსხვავებით, რსფსრ სახალხო არტისტის ე. სამოილოვის ეოეოდა თავადი ივანე შუისკი პირდაპირი, ემოციური პიროვნებაა. მას ღრმად სწამს თავისი სიმართლე, ბევრი მომხრეებიც ჰყავს. ე. სამოილოვი ხაზს უსვამს თავისი გმირის ვაჟკაცობას, რაინდობას და ძალაუფლებისათვის ბრძოლის სურვილსაც. დიდი დრამატიზმით ასრულებს მსახიობი მეფესთან უკანასკნელი შეხვედრის სცენებს, როცა რწმუნდება მეფის დიდ ადამიანურ სიწმინდეში და ქედს იხრის მის წინაშე.

დედოფალ ირინეს როლს რსფსრ სახალხო არტისტი გ. კირიუშინა ასრულებს. მსახიობი ამდიდრებს ამ როლს, მასში ჩანს გონიერება, სიკეთე. დამაჯერებლად გვიჩვენებს ირინეს სულიერ კეთილშობილებასა და თავდადებას, რაც ანათესავებს თედორესთან.

მოსკოვის მცირე თეატრი ყოველთვის იყო რეალიზმის ციტადელი, ამ თეატრის მსახიობთა თაობები მტკიცედ იცავდნენ დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შჩეპკინისა და მოჩალოვის, ფედოტოვასა და ლენსკის, ერმოლოვასა და სუმბათაშვილ-იუჟინის ტრადიციებს. ეს ტრადიციები დღესაც სათუთად არის შენახული.

ნ. შალუტაშვილი.

სურათზე: თედორე — რსფსრ სახალხო არტისტი ი. სოლომინი (მარჯვნივ), გოდუნოვი — რსფსრ სახალხო არტისტი ვ. კორშუნოვი.
ვ. ბენგზიურის ფოტო.

შემთხვევა

ზღვას სიცოცხლე გამოსტაცეს

ფოთი. მალთაყვის გაშლილ ქვიშიან პლაჟზე ყოველთვის მრავალი დამსვენებელია. ასე იყო იმ დღესაც, როცა ზღვამ პირი იცვალა და აიფოფრა. დამსვენებლები მეტწილად ნაპირის მახლობლად ბანაობდნენ.

უეცრად სამნი — თბილისელი მხატვარი პლატონ ჭანტურია და მისი შვილები თამარი და თემური ბობოკვარმა ტალღებმა გაიტაცა. თემურმა სცადა ერთდროულად განსაცდელისაგან ეხსნა მამა და თავისი და, მაგრამ უშედეგოდ.

ასეთ საბედისწერო მომენტში მათი მდგომარეობა შენიშნა წყალმაშველი სადგურის უფროსმა. „წყალწყლებულის გადარჩენისათვის“ მედლით დაჯილდოებულმა ომარ გვალიამ. იგი უმალ გადაეშვა ამობოჭრებულ ტალღებში და დიდი ბრძოლის შედეგად სამივე გადაარჩინა.

ნაპირზე მათ საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და გონს მოიყვანეს. ამ მამაცურ მოქმედებაში ო. გვალიას ეხმარებოდნენ მყვინთავები ალ. კუზნეცოვი, ვ. ლაითაძე, მშველელი მეზღვაურები ვ. ჩაბრავა, ბ. ლორჩაშვილი და მედიცინის დ. თ. ახობაძე.

ბ. კომბახიძე.
„კომუნისტის“ კორ.

ფოტოტიტა
8 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია“ — (მ.), 09.40 — „ლილის ვარვარი“ (მ.), 10.00 — „მოამბე“, 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მზე შემდგომისა“, 11.50 — ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი, 12.20 — დოკუმენტური ფილმი „ელიმეკიანი“, 16.55 — „ბაკალეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ“ (გადაცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 17.55 — „კინოპროგრამა“ „ჩვენს დიად სამშობლოში“. საგანგებოდ შერჩეული დოკუმენტური ფილმი „პირადი პასუხისმგებლობით“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „პიონერია წინა ხაზზე“, 19.00 — ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში — მ. ჩიბურდანიძისა და ნ. ალექსანდრიას მატჩის საზეიმო გახსნის რეპორტაჟი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „გაკუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“. „ლეტურას ხეობა“ (განმეორებით). 20.55 — „ოქროპირი“. საგანგებო ფილმ-ოფიციალური საგელევიზიო ჟურნალი, 21.35 — „ახალგაზრდობისათვის — „ავალი ნათელი“ — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოთხი ინტერვიუ“ — აკადემიკოსი ილია ვეკუა, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „„დედოფლის ბვირეგვინიანეგის“, 22.50 — „საგელევიზიო თეატრი“ — გივი ვეოხაძე. „ბანტრე ბიჭის ოდესა“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.10 — დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი“, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ნაგვრის ხე“.

ფოტოტიტა
8 სექტემბერი

მეგეხის თეატრი — კოლაელ ყრმათა წამება (პრემიერა); ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ჯ. კახიძე, სოლისტი ე. ვირსალაძე.**

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

გეგეჭკორი

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

იმრავლებს ოჯალეში

ეს უნიკალური და ძვირფასი ჯიშის ვაზი არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც დიდი მოწონებით სარგებლობდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთში გამართულ ღვინოების მსოფლიო დეგუსტაციაზე ოჯალეშის ღვინომ ოქროს მედალი დაიმსახურა და მას შემდეგ მასზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ ამ ჯიშს დღით დღე უფრადღრეა აკლდებოდა.

ამ მხრივ კარგი საქმე გააკეთა გეგეჭკორის რაიონის ხელმძღვანელობამ, როცა ოჯალეშის ვაზის მოვლა-მოყვანას საგანგებო ყურადღება დაუთმო. ამ ჯიშის ვაზის სამშობლოში — სალხინოში, სადაც ღვინო ერთ დროს საფრანგეთშიც კი გაქონდათ, კიდევ უფრო გაზრდეს უნიკალური ჯიშის ვენახები. მუხურჩაში კი შეიქმნა სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, სადაც მხოლოდ ოჯალეშს გააშენებენ. ჯერჯერობით ამ ჯიშის ვაზი 35 ჰექტარზეა ჩაყრილი. წლეულს ამ ფართობს 50 ჰექტარი მიემატება, ხუთწლედის ბოლოსათვის კი ოჯალეში 400 ჰექტარს დაიკავებს.

ბ. ჩაჩავა.

კურორტი ლეგარდე

ფესანეშნავი კლიმატით და მინერალური წყლით ცნობილია კურორტი ლეგარდე. ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონულ, ნატრიუმ-კალციუმ-კრიან წყალს კარგი სამკურნალო თვისებები აქვს ადამიანის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, თირკმლის, ნაღვლის თუ ღვიძლის ქრონიკულ დაავადებათა განსაკურნავად. ამიტომაც აქ ყოველთვის უამრავი დამსვენებელი მოდის სამკურნალოდ.

დღითი დღე უმჯობესდება დამსვენებელთა მომსახურება. წლეულს კურორტის ტერიტორია გამწვანდა, კეთილმოეწყო დასასვენებელი ოთახები, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო ობიექტები, შეკეთდა კურორტთან მისასვლელი გზები. მიმდინარე სეზონში 1500-ზე მეტი კაცი დაისვენეს და გაიკეთეს ჯანმრთელობას.

ნ. ბენდელიანი.

მარტვილის კლატოზე

მარტვილი უძველესი ისტორიული ადგილია. წლების განმავლობაში უყურადღებობითა და მოუვლელობით ტყე განადგურდა და მიდამო პირუტყვის საძოვრად გადაიქცა.

რამდენიმე წლის წინათ ეს ადგილი მეტყევეებმა გაწმიდეს, გაასუფთავეს და დაიწყეს მისი განაშენიანება.

გავიდა დრო, და უძველეს მარტვილის მიწა-წყალზე სიცოცხლემ დაისადგურა. მალე ტყე აიჭოჩრა. დღეს იგი მშრომელთა ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია.

ახლა აქ სხვადასხვა ღონისძიება იმართება, ეწყობა გასეირნება-გართობები, მეგობრული შეხვედრები და საღამოები.

ზ. ბალიშვილი.

ინფორმაცია—81

მლერის „ასკრიონი“

ამბროლაური. (საკ. კორ.) „ასკრიონი“ — ასე ეწოდება ჭრელალოს კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს, რომელსაც არსებობის ათი წელი შეუსრულდა. მისი წევრები არიან მუსიკის მოყვარული მძღოლები, პედაგოგები, სტუდენტები, კომკავშირული მუშაკები და ხელოვნების დარგის წარმომადგენლები.

ამ დღეებში ანსამბლმა თავისი შემოქმედება ონის რაიონის მშრომელებს უჩვენა. კონცერტის პროგრამაში იყო სიმღერა და ხაზღვარგარეთელ კლასიკოსთა თხზულებები, ქართული ხალხური სიმღერები და ადგილობრივ შემოქმედთა ნაწარმოებები.

იალაღებზე

სიღნაღი. (საკ. კორ.). მხოლოდ რადიოტრანზისტორით თუ შეიტყობენ ჩვენი ქვეყნის ახალ-ახალ ამბებს მეცხვარე მწყემსები, რომლებიც ხევსურეთის მთის იალაღებზე იმყოფებიან.

მაგრამ სულ სხვა იყო ის სიხარული, როცა მათ ნუკრიანისა და ბოდბის კულტურის სახლების გაერთიანებული მხატვრული ანსამბლი ეწვია. ახალგაზრდებმა მეცხვარეთა ყველა ბრიგადაში გამართეს კონცერტები, ლექციები, საუბრები.

მეორე შევსებული...

მომავალმა ბიოლოგებმა კარგი სახელმძღვანელო მიიღეს

სტუდენტის ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინაში დიდად არის დამოკიდებული თანამედროვე, მეცნიერული სიღრმით შედგენილ სახელმძღვანელოზე. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბორის ყურაშვილის მიერ შედგენილი უხერხემლოთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა.

აღნიშნული სახელმძღვანელო ერთადერთია მშობლიურ ენაზე მთლიანად რომ აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლების ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა მზარდ მოთხოვნილებას და შეესაბამება თანამედროვე ბიოლოგიის მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით შედგენილ ახალ სასწავლო პროგრამას.

სარეცენზიო სახელმძღვანელოში მკითხველისათვის ადვილად შესათვისებელი ფორმით არის გადმოცემული ზოოლოგიის როგორც კლასიკური მეცნიერული დისციპლინის საგანი და ამოცანები, მისი ადგილი ბიოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში. დაზუსტებულია ზოოლოგიის მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს არისტოტელესეული, აღორძინების პერიოდის, ლინეს, ლამარკისა და ჟარუ კიუვესეული კლასიფიკაცია, გაანალიზებულია ადრინდელი კლასიფიკაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. შეფასებულია ჩარლზ დარვინის ევოლუციური მოძღვრების მნიშვნელობა და რუსი მეცნიერების — კოვალევსკისა და მეჩნიკოვის გამოკვლევების როლი ცხოველთა ბუნებრივი კლასიფიკაციის შემუშავების საქმეში.

უხერხემლო ცხოველთა განვითარების, აგებულებისა და ცხოვრების წესის ყოველმხრივი გაშუქება სახელმძღვანელოს კომპლექსურ ხასიათს ანიჭებს და საფუძვლიან ცოდნას გვაძლევს ზოოლოგიის მეცნიერების ისეთ სპეციალურ დისციპლინებში, როგორიც ხრის ცხოველთა მორფოლოგია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია, ზოოგეოგრაფია, სისტემატიკა, პალეონტოლოგია, ფილოგენია და სხვ.

სახელმძღვანელო შესაძლებლობას აძლევს მკითხველს საფუძვლიანად შეისწავლოს ცხოველთა ევოლუციის პროცესები და ევოლუციის საერთო კანონზომიერებანი. ჩარლზ დარვინის ევოლუციური მოძღვრების როლი სახელმძღვანელში ისეა გაშუქებული, რომ იგი უთუოდ ხელს შეუწყობს სტუდენტთა დიალექტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობით და ათეისტური სულისკვეთებით აღზრდას; ზრდის ცხოველთა სამყაროს შეცნობის ინტერესს და იმის შეგნებას, რომ თანამედროვე ცხოველების აგებულებისა და მათი ბიოლოგიის თავისებურებები ბუნებრივი გადარჩევის საფუძველზე ცხოველთა სამყაროს ევოლუციური განვითარების შედეგია. ამასთან თითოეული ცხოველური ორგანიზმი განხილულია როგორც ერთიანი — მთლიანი ერთეული, რომელშიც ყოველი ორგანო განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს და ამ ფუნქციათა შესრულებისას ურთიერთკავშირშია.

სახელმძღვანელოში მკაფიოდ, მეცნიერული სიზუსტით არის გადმოცემული უხერხემლო ცხოველთა თითოეული ტიპის დამახასიათებელი ნიშნები, მთავარ წარმომადგენელთა გარეგანი და შინაგანი აგებულების სურათი, ცხოვრების ნირი და მნიშვნელობა ბუნებაში, სახალხო მეურნეობასა და მედიცინაში. წიგნი მკაფიო წარმოდგენას იძლევა ცხოველთა სამყაროზე, როგორც ძმაკაცურ ბუნებრივ ძალაზე, ცხოველური ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთკავშირზე.

სპეციალური ნაწილის შესწავლას ამდიდრებს და აადვილებს ზოგადი ბიოლოგიის ძირითადი საფუძვლების მოკლე დახასიათება, სადაც გადმოცემულია უახლესი მიღწევები უჯრედის მოძღვრების შესახებ და გაშუქებულია ცხოველთა ინდივიდუალური განვითარების ძირითადი ეტაპები.

სახელმძღვანელო კარგად არის გაფორმებული, ძირითად ტექსტს ერთვის უხერხემლო ცხოველების ქართულ და ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი.

რამდენადაც უხერხემლოთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს ამასწინანდელი გამოცემა უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, წინამდებარე გამოცემით უთუოდ სასარგებლო საქმე გაკეთდა.

ა. ჯანაშვილი.
პროფესორი;
ა. ჰოლოკავა.
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲮᲘ

თეთრეგვით ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონი

გუშინ ბორჯომში, სანატორიუმ „ლიკანის“ ხაკონცერტო დარბაზში გაიხსნა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს და პრეტენდენტ ნანა ალექსანდრიას შორის. წოლისყრამ დღევანდელ პირველ პარტიაში თეთრი ფიგურები მაია ჩიბურდანიძეს არგუნა.

მაღრიდის ექო

კვირას თბილისის დინამოელები ესპანეთიდან შინ დაბრუნდნენ და ახლა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი და ევროპის ჩემპიონატის თასების მფლობელთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველი მატჩისათვის ემზადებიან. „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იცან, რომ მადრიდის საერთაშორისო ტურნირში დინამოელებმა ერთობ რთულ სათამაშო პირობებში მესამე ადგილი დაიკავეს, ამ ასპარეზობის თაობაზე რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ გუნდის უფროსს ქაბი ასათიანს. გთავაზობთ საუბრის შინაარსს:

✦ „მკითხველებმა უკვე იციან ტურნირის შედეგები, იციან ისიც, რომ მძიმედ დაზავდა ყიფიანი. ესპანეთში „დინამოს“ გამოხვლიადმი მკითხველთა ინტერესი დიდია. გთხოვთ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ მადრიდში გამართული მატჩების შესახებ.

— მადრიდის „რეალთან“ შეხვედრა ასეთი შემადგენლობით დავიწყეთ: გაბელია, ხიხანაშვილი, ხიხჩაგაშვილი, ჩივაძე, თავაძე, სვანაძე, დარასელია, კაკილაშვილი, ყიფიანი, გუცაევი, შენგელია. თამაშის მერვე წუთზე დაშავებული ყიფიანი ანდღულაძემ შეცვალა, ხოლო მატჩის მიწურულს ტრავმა მიიღო კაკილაშვილმა და ქვანაიმ დაიკავა მისი ადგილი. ყიფიანს წვივის ძვალზე ორ ადგილას აქვს მოტეხილობა. ახლა ერთადერთი ნუგეშად ისა გვაქვს, რომ მოტეხილობა ღია არ არის. კაკილაშვილს მხარი აქვს დაზიანებული და მასაც მკურნალობა სჭირდება, თუმცა ისეთი ხანგრძლივი არა, როგორც ყიფიანს.

„რეალი“ ჩვენთან შეხვედრის მოგებას ყოველი ღონით ცდილობდა და მიაღწია კიდეც — 4:2. მადრიდელები უხვმ თამაშს არ ერიდებოდნენ და არც ბელგიელ მსაჯთა ბრიგადა იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ყიფიანი მადრიდელმა მეოთხე ნომერმა ანხელმა დაიშავა. ანხელი ამ მომენტამდეც და მის მერეც საკმაოდ უხეშად თამაშობდა. „რეალთანაც“ და „ბაიერნთანაც“ ორ-ორი გოლი შენგელიამ გაიტანა. აქედან თითო ბურთი ორივე გუნდთან შენგელიამ თერთმეტმეტრიანი საჯარიმოდან მოათავსა კარში. ორივე საჯარიმო მას შემდეგ დაინიშნა, რაც გუცაევი მეტოქე გუნდების კარის სიახლოვეს სახიფათოდ შეაჭრილი წააქციეს.

„ბაიერნთან“ მატჩში ჩვენი შემადგენლობა საგრძნობლად შესუსტებული გახლდათ: გაბელია, ხიხანაშვილი, ხიხჩაგაშვილი, ჩივაძე, თავაძე, სვანაძე, ანდღულაძე, დარასელია, ყვანია, გუცაევი, შენგელია. „ბაიერნს“ მთავარი ძალა — ბრაიტნერი და რუმენიგე შეიმატათ. მათ ჰოლანდიელებთან არ უთამაშიათ, ვინაიდან ისინი ქვეყნის ნაკრებთან ერთად პოლონეთში იყვნენ და მადრიდში მოგვიანებით ჩამოვიდნენ. ჩვენ კი ყიფიანი და კაკილაშვილი გვაკლდა. მოგეხსენებათ, „ბაიერნთან“ გავიმარჯვეთ ანგარიშით 2:1. რადიოთი გაუწყეთ: ბრაიტნერისა და რუმენიგეს ახორების შედეგად „ბაიერნმა“ 43-ე წუთზე დატოვა მინდორი. ცოტა ხანში ისინი ბოდიშს მოსახდელად მოვიდნენ მატჩის არბიტრთან პეს პერესთან და ჩვენთანაც: „განგაგრძოთო შეხვედრა, მაგრამ პერესმა მათ ამის ნება არ დართო. არბიტრმა მატჩამდე ორივე გუნდის ხელმძღვანელებს განგვიცხადა, რომ იგი არ მოითმენდა შეკამათებას, აპელაციებს და აკი არც ბრაიტნერს აპატია და არც რუმენიგეს. პირველს ყვითელი ბარათი ამოუღო, მეორეს კი წითელი. გერმანელთა ქცევაზე მაყურებელთა რეაგირება საკმაოდ მრისხანე იყო, ჩვენი ბიჭები კი მოედნიდან ტაშის გრიალთან გაიცილეს.

✦ **როგორ შეაფასეს დინამოელთა გამოსვლა მადრიდში?**

— პრესამაც და სპეციალისტებმაც დიდი ქებით მოიხსენიეს „დინამო“. ჩვენი მატჩების სანახავად მადრიდში სპეციალურად ჩამოვიდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ჩვენი მეტოქის — „გრაცერ აკის“ მწვრთნელი ჩაიკოვსკი. აი მისი შეფასებაც: „10 წელია ასეთი გუნდი ევროპაში არ მინახავს, „დინამომ“ მართლაც გამოაცა“...„აზ-67“-ის მწვრთნელმა კესლერმა კი შენიშნა: „ისეთი საინტერესო ფეხბურთი, თბილისის „დინამო“ რომ თამაშობს, ევროპაში ჯერ არავის უნახვენია“. დინამოელთაგან ბევრმა ქება დაიმსახურა, გუცაევს კი ერთხმად ბრწყინვალე ფეხბურთელს უწოდებდნენ. ამიტომაც იყო, რომ მან ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელისათვის დაწესებული პრიზი მიიღო, შენგელიამ — საუკეთესო ბომბარდირისა, „დინამომ“ კი ევროპელის სამახსოვრო თასი. მადრიდის გაზეთებმა არაერთი საქებარი სტატია დაბეჭდეს ჩვენს გუნდსა და მის ცალკეულ წევრებზე. ესპანელები ამაყობდნენ, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი დავამარცხეთო.

✦ **თბილისში მითქმა-მოთქმაა, „რეალთან“ მატჩის დროს მსაჯმა გაბელია მინდვრიდან გააძევა და იგი გუცაევმა შეცვალა...**

— მსგავსი რამ არ ყოფილა, ჩვენს ფეხბურთელებს ღირსეულად ეჭირათ თავი და თავისი ქვეყნის სახელი არ შეურცხვენიათ. „დინამოს“ კიდევ ბევრი გამოცდა მოელის. ცხადია, ამ რთულ ვითარებაში ჩვენი უმთავრესი ამოცანაა შესულტებული შემადგენლობითაც ტოლი არ დავუდოთ მეტოქეებს.

ჯ. ენუქიძე.

ფეხბურთის სხვა ამბები

პირველი ლიგა

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდაეთორმეტე ტურის მატჩები. ამ ასპარეზობის მონაწილე საქართველოს გუნდებმა შინ ითამაშეს. ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ყემეროვოს „კუზბასი“, ლანჩხუთის „გურიამ“ — პავლოდარის „ტრაქტორი“. ქუთაისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 (ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს ა. კვერნაძემ და ქვირიანმ), ლანჩხუთელებმა კი სამჯერ აიღეს მეტოქეთა კარი — 3:0 (კოპალეიშვილმა, ჩხაიძემ და ებანოიძემ). ოცდათორმეტე ტურის შემდეგ ხარკოვის „შტალისტს“ 46 ქულა აქვს, მოსკოვის „ლოკომოტივს“ და ნიკოპოლის „კოლოსს“ — 38-38, კიშინიოვის „ნისტრუს“ — 36, ქუთაისის „ტორპედოს“, დუშანბეს „პამირს“ და იაროსლავლის „შინიკს“ — 35-35 ქულა.

მეორე ლიგა

გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეორე ეტაპის მეზუთე ტურის მატჩები I-VIII ადგილებისათვის მებრძოლთა ჯგუფში. გთავაზობთ შედეგებს: სტეფანაკერტის „ყარაბახი“-აბოვიანის „კოტაიკი“ — 1:3, სამტრედიის „ლოკომოტივი“-აშხაბადის „კოლხოზჩი“ — 2:1, ლენინაკანის „შირაკი“- ოქტემბერიანის „სპარტაკი“ —2:0, ლენქორანის „ხაზარი“-სოხუმის „დინამო“ — 2:0.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღეისათვის ასეთია: „კოტაიკი“ 55 ქულა, „ლოკომოტივი“ — 50, „ხაზარი“ — 41, „კოლხოზჩი“ და „ყარაბახი“ — 39-39, „სპარტაკი“ — 37, „დინამო“ და „შირაკი“ — 36-36 ქულა.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:
ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96,



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭ